ლალი ჭითანავა

დროის "მექანიზაცია" და თომას კარლაილი

ანოტაცია: ინგლისელი ისტორიკოსის, პუბლიცისტისა და ფილოსოფოსის თომას კარლაილის (1795-1881) კალამს ეკუთვნის არაერთი პირველხარისხოვანი ნაწარმოები, მაგრამ მკვლევრები უპირველესად ასახელებენ კრიტიკულ ესეებს და მათ შორის „დროის ნიშნებს", რომელშიც მწერალი ცდილობს მკითხველში გამოიწვიოს საზოგადოებრივი აქტივობა. იგი აღწერს ვიქტორიანულ ეპოქას, აცოცხლებს წარსულის ინტელექტუალურ გმირებს, უპირისპირდება აწმყოში არსებულ მექანიზაციას, მოჰყავს უფრო მეტი არგუმენტები სრული აღწერილობისათვის, რათა მკითხველთან დაამყაროს კავშირი და უფრო ადვილად გასაგები გახადოს „მექანიკის" მნიშვნელობა, ანუ ხაზი გაუსვას იმდროინდელი საზოგადოების მექანიკურ ბუნებას, ვინაიდან სწორედ ასეთი „მექანიზმები" ხდება თითოეული ადამიანის მიზანი. ესე დაიბეჭდა 1829 წელს ჟურნალ „ედინბურგის რევიუში" და უნდა ყოფილიყო სამი წიგნის რეცენზია, მგრამ გასცდა კონკრეტულ მიზანს და წარმოადგინა, თუ როგორ კნინდება გადაგვარებული საზოგადოების თვალში ის, რაც ფასეულია და ემოციური.

ამოსავალი სიტყვები: *თომას კარლაილის ესეები, „დროის ნიშნები", „მექანიზაციის" პრობლემა, ჟურნალი „ედინბურგის რევიუ"*

Lali Chitanava

Time "mechanization" and Thomas Carlyle

Annotation: English historian,publicist and philosopher Thomas Carlylesle(1795-1881) created a lot of valuable works,but researchers mark out his critical Essays and among them "Signs of Time" is the best.In this work the writer tries to make the reader active.He describes Victorian period,uses intellectual heroes of the past and is against Mechanisation of the present.He gives many arguments for perfect description in order to maintain a contact with a reader and to make it clear for the reader the meaning of Mechanism.So,he wants to emphasise mechanical nature of the society of that time,as these mechanisms become the target for every human.The Essay was written in 1829 in a journal Edinburgh Review and there should have been three book reviews,but he went far more beyond his particular aim and presented increasing the admiration of technical and mechanical things and regarded it as a decay of society.

The starting words: *Thomas Carlyles Essays, "Signs of Time", "mechanization" problem, Journal of "Edinburgh Review"*

ინგლისელი ისტორიკოსი, პუბლიცისტი და ფილოსოფოსი ტომას კარლაილი (1795-1881) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა ბრიტანულ ლიტერატურულ საზოგადოებაში, შოტლანდიური წარმოშობის თომასი იზრდებოდა მკაცრ კალვინისტურ ოჯახში, თუმცა არ ისურვა სასულიერო კარიერა და 14 წლის ასაკში ჩააბარა ედინბურგის უნივერსიტეტში. შემდგომ წავიდა მათემატიკის მასწავლებელად ერთ-ერთ პროვინციაში, მაგრამ მალე ისევ ედინბურგში დაბრუნდა და ცხოვრება გააგრძელა ლიტერატურული საქმიანობით მიღებული შემოსავლებით. ის ასევე აქტიურად ეცნობოდა იურისპრუდენციას და ემზადებოდა გამხდარიყო ადვოკატი, თუმცა ეს საქმეც მალე მიატოვა, დაინტერესდა გერმანული ლიტერატურით და თარგმნა გოეთეს „ვილჰელმ მაისტერი" (1924), „შილერის ცხოვრება" (1825), ამას მოყვა არა ერთი პირველხარისხოვანი ნაწარმოები, მაგრამ მკვლევრები უპირატესად ასახელებენ კრიტიკულ ესეებს და მათ შორის „დროის ნიშნებს", რომელშიც მწერალი ცდილობს გამოიწვიოს საზოგადოებრივი აქტივობა.

თომას კარლაილს თვლიდნენ ვიქტორიანული ეპოქის ერთ-ერთ ბრწყინვალე ლიტერატურულ სტილისტად, რომელმაც აღწერა აღნიშნული ეპოქის ინგლისი, გააცოცხლა წარსულის ინტელექტუალური გმირები და დაუპირისპირდება აწმყოში არსებულ „მექანიზაციას". ამხილა არსებული სიტუაციის მანკიერი წყლულები, თუმცა თანამედროვეობის კრიტიკა რომანტიკულ სამოსში მოაქცია. გააიდეალა შუა საუკუნეები და შექმნა კულტი დიდი ადამიანებისა, რომლებიც ისტორიას წინ ეწევიან. *(საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია 1985: 367-368).* მიუხედავად იმისა, რომ ის ისტორიულ ნაშრომებს დიდი მოწიწებითა და რუდუნებით ქმნიდა, გამოდიოდა საჯარო ლექციებით, აკეთებდა პოლიტიკურ განცხადებებს, ამას ხელი არ შეუშლია დიდი ესესისტი გამხდარიყო და მკითხველი საზოგადოებისთვის წარედგინა მნიშვნელოვანი კრიტიკული შეხედულებები გარკვეულ საკითხებზე. ამ მხრივ გამოირჩევა „დროის ნიშნები", სადაც მწერალი ცდილობს მკითხველი საზოგადოებრივად გააქტიუროს და როგორც აღვნიშნეთ, დაუპირისპირდეს აწმყოში არსებულ მექანიზაციას, მოჰყავს უფრო მეტი არგუმენტები სრული აღწერილობისთვის, რათა მკითხველთან დაამყაროს კავშირი და უფრო ადვილად გასაგები

გახადოს „მექანიკის“ მნიშვნელობა, ანუ ხაზი გაუსვას იმდროინდელი საზოგადოების მექანიკურ ბუნებას, ვინაიდან სწორედ ასეთი „მექანიზმები“ ხდება თითოეული ადამიანის მიზანი. ესსე დაიბეჭდა ჟურნალ „ედინბურგ რევიუში“ 1829 წელს და თავდაპირველად უნდა ყოფილიყო სამი წიგნის რეცენზია, მაგრამ გასცდა კონკრეტულ მიზანს და მკითხველ საზოგადოებას აჩვენა, თუ როგორ იზრდება მატერიალურისა და ტექნიკურის თაყვანისცემა და როგორ კნინდება გადაგვარებული საზოგადოების თვალში ის, რაც ფასეულია და ემოციური *(საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია 1985: 368)*.

ესეიში მწერალი არაერთხელ აკრიტიკებს ინტელექტუალური წნეხის ქვეშ მოქცეულ საზოგადოებას. მისი აზრით, „მექანიზაციის ხანა“ არის გაზვიადებული და ფერწასული, ამიტომაც აღწერს იმ სამყაროს და არღვევს ინდუსტრიალიზებულ საზოგადოებას და აშკარაა, რომ ამ პრობლემას უფრო ღრმა ფესვები აქვს, კერძოდ, ნოსტალგიურ წარსულში. ამიტომაც თომას კარლაილი ვიქტორიანულ ეპოქას „მექანიკურ საუკუნეს“ უწოდებს, საუკუნეს სადაც არაფერი კეთდება ხელით, უმარტივესი ოპერაციის შესასრულებლადაც კი მზად არის მოხერხებული აპარატურა. „...დაძაბული შრომის ძველი ჩვეულება მივიწყებულია, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხედავთ, თუ როგორ უთმობს გზას ცოცხალი ხელოსანი უსულგულო მანქანას... ოსტატიც გამოჩნდა ორთქლის ძალით რომ ჩეკავს წიწილებს, კრუხიც კი აღარ გვჭირდება. მთებს ვარღვევთ და ზღვებს ვუშვებთ გადასწორებულ მთაგრეხილებზე, წინ ვერაფერი გადაგვიდგება“ *(ესეები 1989: :120-159).* ავტორი ხშირად მიმართავს ჰიპერბოლას და განმეორებას, რათა გადმოგვცეს სპეციფიკური აზრები. ესსე სავსეა ენერგიითა და ცეცხლით, რომელიც განიცდის ესკალაციას, რათა რიტმთან შესაბამისობაში მოვიდეს, დაუსრულებლად მოჰყავს მაგალითები, რომ განამტკიცოს შეხედულება მექანიზაციაზე. რომ უდიდესი მასწავლებლის შეცვლა ბეჭდვით იწვევს უსულო საგნის გაპიროვნებას. კარლაილი დაუღალავად გვაძლევს იმ სფეროების ჩამონათვალს, სადაც მექანიზაციის ხელი ურევია, ამიტომ ინტელექტუალური გარემო ნაცვლად ემოციისა და დახვეწილი გონებისა, დამოკიდებულია მანქანაზე და რკინაზე *(საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია 1985: 367-368)*.

თომას კარლაილის ენა არის ბელეტრისტიკული ჟანრის, რაც წარმოადგენს ვიქტორიანული ხანის კრიტიკას. მისი ლექსიკა მთლიანად დატვირთულია მორალით. თითოეული აბზაცი შეიცავს ვნებიან განხილვას. მას თანაბრად შეეძლო მკითხველისათვის

გადმოეცა შემთხვევის მნიშვნელობა და გამოცდილება. მიაჩნდა, რომ მთავარი დავალება ჰქონდა შესასრულებელი, რაც გამოიხატება „საკაცობრიო წინასიტყვაობაში“. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ კარლაილის სტილი ლიტერატურული სიბრძნის განვითარებაა. „...ხილული, გამჭვირვალე დღეები დასრულდა, მექანიზაციის სწრაფმა გამოჩენამ წარმოშვა მექანიკური გონება, რომელიც ყველაფერს კურნავს და მან შეიძლება დასცეს, გადათელოს ერთეულები...“ *(ესეები:1989; 120-159).* პოეზია, რომელიც არის გენიოსების შემოქმედება და ნებისმიერ ეპოქაში შთაგონებულია მაღალი მატერიებით, მექანიზაციის ფონზე იქცა იდუმალად და მიუწვდომლად. არსებობს „გემოვნების თეორია“, რომელიც სიბრძნისა და სილამაზის ღრმა, განუსაზღვრელი სიყვარულია.

„დროის ნიშნებში“ კარლაილი მიუთითებს მექანიზაციის გავლენაზე არა მარტო კულტურაში, არამედ განათლებაში, ხელოვნებაში, რელიგიაში. არაერთხელ აღნიშნავს თუ როგორ ათავისუფლებს „მექანიკა“ ადამიანს სულიერებიგან და საკუთარი თავის რწმენისგან, რაც დღესაც აქტუალურია, ვინაიდან ტექნიკა და მექანიზაცია ისე პროგრესული არასდროს არ ყოფილა როგორც ახლა, XXI საუკუნეში, და მართლაც, სამართლიანად აგონებს მწერალს მექანიზაციის მიერ მსოფლიოს დაპყრობა ბაბილონის გოდლის აშენების პროცესს, როდესაც ნოეს მიმდევრები ცდილობდნენ აეშენებინათ კოშკი, ღმერთმა კი დასჯის მიზნით შექმნა ენობრივი ბარიერი მშენებელთა შორის, რათა კომუნიკაციის შესაძლებლობა არ ჰქონოდათ და ამით ქაოსი შემოეტანათ. ეს გვაუწყებდა საყოველთაო განადგურებას, ისევე როგორც მექანიზაცია გვანიშნებს სულიერ სიცარიელეს. ეს კი თამამად შეიძლება ჩაითვალოს კარლაილის გაფრთხილებად მომავლისათვის, ვინაიდან არაერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ „მექანიკურ ხანაში“ ინგლისურმა საზოგადოებამ დაკარგა ხედვა და სულიერება. ის მიმართულია განსაზღვრული რეალობისკენ, კერძოდ ფულისკენ და სოციალური ორგანიზაციისაკენ. მწერალი დაჟინებით მოითხოვს საზოგადოების შეტრიალებას წარსულისაკენ, ბუნებრივი გზით დააბალანსოს ტექნოლოგიური აზროვნება *(საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია 1979: 203-206).*

თომას კარლაილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დინამიური აზროვნება არის პოზიტიური და მექანიკური აზროვნების ორეული, რომელიც ძალიან ენატრება საზოგადოებას. ყოველდღიურ ინგლისურ ცხოვრებაში დინამიზმი ნაკლებად იგრძნობა. მისთვის მექანიკის გაცნობა არის საზოგადოების მანქანა, რომელმაც გარდაქმნა

საზოგადოების კოლექტიური იდეოლოგია და გაშიფრა დრო. „მექანიკის“ შეყვარება ჭკვიანსაც და სულელსაც თანაბრად აჯიბრებს ერთმანეთთან და იმორჩილებს მათ. ადამიანის ბუნებრიობა ნელ-ნელა ქრება, რადგან ის გადაჩვეულია ხელით მუშაობას. მწერალი კი მკითხველს ურჩევს შრომას, რადგან მანქანაზე დამოკიდებულები თავს იტყუებენ, საზოგადოება კი ფუქსავატია, ვინაიდან ბუნებრივი იდეები არ გააჩნია. ის სთხოვს ადამიანებს აღიდგინონ საკუთარი თავისადმი რწმენა, რამეთუ ხილვადია მხოლოდ ხელით გაკეთებული სამუშაო, თუმცა თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ ადამიანებს არ გააჩნიათ სურვილი ბუნებრივად აკეთონ საქმე. თომას კარლაილის სიტყვებით, „...ჩვენ ვებრძვით მკაცრ ბუნებას, რაღაც მანქანების წყალობით ადამიანის ფიზიკური ძალა ამით დიდ მოგებას ხედავს. მასებში თანდათან ვითარდება მექანიკური სული. მანქანა არა მარტო გარეგნობაზე და ფიზიკურობაზე ახდენს გავლენას, არამედ სულიერებაზეც“ *(ესეები:1989, 120-159).* ამ სიტყვებით ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მცხოვრებმა მწერალმა თითქოს იწინასწარმეტყველა თანამედროვე, XXI საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა და ხაზი გაუსვა იმას, თუ როგორ არასასურველ შედეგამდე მივყავართ დღეს „ტექნიკურ აქსესუარებზე“ დამოკიდებულებას. საზოგადოება მართლაც შორსაა ფიზიკური შრომისგან, ხალხი მექანიკურ აზროვნებას ეჩვევა, რაც გარკვეულწილად დეგრადაციის საწინდარია, ვინაიდან ის ვერ შეიგრძნობს ადამიანის შინაგან სამყაროს, მის ხასიათს, სულს, გრძნობებს თუ მას თვალებში არ ჩახედე, რასაც ვიდეოთვალი ნამდვილად ვერ გააკეთებს, რადგან ბევრია ისეთი რამ, რასაც ვერანაირი „მექანიკა“ ვერ შეცვლის, ამიტომაც საჭიროა ზღვარი, ვინაიდან მარტო არც „მექანიკურობა“ ვარგა და არც „დინამიურობა“, ორივე უნდა არსებობდეს და მათ თავსებადობას ადამიანი უნდა არეგულირებდეს.

ლიტერატურა:

ესეები, 1989: *ესეები, თბილისი.*

ვებსტერი: *ვებსტერის ინტერნეტ ენციკლოპედია, ინგლისელი მწერლები., en.wikipedia.org/wiki/thomas-carlyle*

ვებსტერი: *ვებსტერის ინტერნეტ ენციკლოპედია, ვიქტორიანული ეპოქის მწერლები,* *www.victorianweb.org*

საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია 1985: *ინგლისური ლიტერატურა, თბ.*

საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია 1979: *ინგლისური ლიტერატურა, მოს., (რუს. ენაზე)*